საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ფისკალურ წესებთან შესაბამისობა

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (II წარდგენა) თანდართული ინფორმაცია

თბილისი

2024 წლის სექტემბერი

1. ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები

წინამდებარე ინფორმაცია მომზადდა საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან (მეორე წარდგენა) ერთად და წარმოადგენს 2023 წლის ბოლოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული „2024-2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით“ წარმოდგენილ საშუალოვადიანი ეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზებთან შედარებით ანალიზს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პირველ წარდგენასთან შედარებით ცვლილებები არ განხორციელებულა ბიუჯეტში და წარმოდგენილია იმავე პარამეტრების ფარგლებში.

2021-2022 წლების ორნიშნა ეკონომიკური ზრდის შემდეგ 2023 წელსაც შენარჩუნდა მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი და წლიურმა ზრდამ 7.5% შეადგინა. ეკონომიკურ ზრდაში კვლავ წარმმართველია მოხმარება და ინვესტიციები. ამავე დროს, კვლავ გაგრძელდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, რამაც ეკონომიკურ აქტივობაზე კვლავ დადებითი გავლენა მოახდინა. ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 26.2%-ით გადააჭარბა 2019 წლის მაჩვენებელს, ხოლო 2022 წელთან შედარებით ზრდამ 17.3% შეადგინა. მიუხედავად ფულადი გზავნილების შემცირებისა, რაც ძირითადად რუსეთიდან შემცირებულ ფულად ჩარიცხვებს უკავშირდება, რუსეთის გამორიცხვით აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ მზარდია.

დადებითი და გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური ტენდენციები გაგრძელდა 2024 წელსაც. პირველ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 8.4 პროცენტი შეადგინა, მეორე კვარტლის ზრდა კი 9.6 პროცენტზე დაფიქსირდა. რაც შეეხება ივლისს, წინასწარი მონაცემებით ეკონომიკურმა ზრდამ 13.0 პროცენტი შეადგინა. წინასწარი შეფასებით, პირველ 7 თვეში ეკონომიკურმა ზრდამ 9.7 პროცენტი შეადგინა. 2024-2027 წლების ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების წინასწარ პროგნოზებში 2024 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5.2 პროცენტს შეადგენდა, 2025-2028 წლების პროგნოზების მიხედვით კი 2024 წელს მოსალოდნელია 8.2 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა, თუმცა პირველი 7 თვის მონაცემებით, ეკონომიკის მოსალოდნელზე უფრო მაღალი ზრდის გათვალისწინებით, აღნიშნული შეფასება კონსერვატიულ პროგნოზებს ეყრდნობა. რაც შეეხება საშუალოვადიან პროგნოზებს, ეკონომიკური ზრდის საშუალო საპროგნოზო მაჩვენებელი 5.2 პროცენტზეა 2025-2028 წლებისთვის. საბაზისო სცენართან ერთად ასევე წარმოდგენილია ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები, რომლებიც განსხვავდება სხვადასხვა რისკის რეალიზაციის ალბათობებით, რაც ეკონომიკაზე დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს.

წარმოდგენილ ცხრილებში 2025-2028 წლების ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული პროგნოზები შედარებულია 2023 წლის დეკემბერში წარმოდგენილ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართულ ცხრილებთან. რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებების, არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და მსოფლიოში მიმდინარე ვითარებიდან გამომდინარე, კვლავ არ არის მკაფიო მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღების სისწრაფე და გართულებულია ეკონომიკური აქტივობების პროგნოზირება. აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ, კვლავ არის მოსალოდნელი უარყოფითი ეფექტების საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის მატერიალიზაციის რისკი, თუმცა ამავე დროს, 2024 წლის არსებულ (იანვარ-აგვისტოს) ეკონომიკური განვითარების ტენდენციებში შეინიშნება როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორების მოსალოდნელზე მაღალი აქტივობა და ეკონომიკური ზრდის დაგეგმილზე კიდევ უფრო მეტი პოტენციალი. არსებული

ფაქტორების გათვალისწინებით, 2024 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი უფრო მაღალ მაჩვენებელზეა პროგნოზირებული, ხოლო საშუალოვადიანი პროგნოზები 5.2 პროცენტის ფარგლებშია წარმოდგენილი, 2023 წლის დეკემბერში წარმოდგენილი 5.1 პროცენტიანი პროგნოზის შემდეგ. ამასთან, გლობალურად მიმდინარე სხვადასხვა მოვლენების ფონზე და მიმდინარე წლის პირველი 8 თვის ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით შემცირებულია 2024 წლის ფასების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები და შეცვლილია საგარეო სექტორთან დაკავშირებული ინდიკატორები.

ცხრილი №1. ძირითადი ვარაუდები და დაშვებები

	2023	2024	2025	2026	2027	2028
	ფაქტი	მოსალოდ.	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
რეალური მშპ-ს ზრდა, %						
წინა პროგნოზი (2023 წლის დეკემბერი)	6.5%	5.2%	5.0%	5.0%	5.0%	
ახალი პროგნოზი	7.5%	8.2%	5.5%	5.0%	5.2%	5.3%
სხვაობა	1.0%	3.0%	0.5%	0.0%	0.2%	
მშპ-ს დეფლატორის პროცენტული ცვლილება						
წინა პროგნოზი (2023 წლის დეკემბერი)	3.1%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	
ახალი პროგნოზი	2.5%	3.2%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
სხვაობა	-0.6%	0.2%	0.0%	0.0%	0.0%	
საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, %						
წინა პროგნოზი (2023 წლის დეკემბერი)	15.5%	14.4%	13.4%	12.4%	11.4%	
ახალი პროგნოზი	16.2%	15.2%	14.2%	13.2%	12.2%	11.2%
სხვაობა	0.8%	0.8%	0.8%	0.8%	0.8%	
საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე, %						
წინა პროგნოზი (2023 წლის დეკემბერი)	10.8%	10.3%	9.8%	9.3%	8.8%	
ახალი პროგნოზი	10.9%	10.5%	9.9%	9.4%	8.9%	8.4%
სხვაობა	0.1%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%	

ცხრილი №1 გვიჩვენებს ძირითადი ვარაუდებისა და დაშვებების ცვლილებებს. ცხრილში შეტანილია 2023 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლებიც, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს ფაქტობრივი მონაცემების დაზუსტებით გამოწვეული ცვლილების ეფექტი. 2023 წელს ეკონომიკური ზრდა თავდაპირველ პროგნოზზე მაღალი აღმოჩნდა (1.0 პროცენტული პუნქტით), რაც გამოწვეულია როგორც შიდა, ასევე - საგარეო მოთხოვნის გაუმჯობესებითა და ინვესტიციების ზრდით, რამაც ეკონომიკის მოსალოდნელზე მაღალი აქტივობა განაპირობა. 2024 წლის ახალი საპროგნოზო მაჩვენებელი 8.2 პროცენტს შეადგენს, რაც აღემატება წინა წლის დეკემბერში გაკეთებულ პროგნოზს და გამოწვეულია მოსალოდნელზე მაღალი საგარეო და ასევე მთლიანად ეკონომიკური აქტივობით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველი 7 თვის მდგომარეობით ეკონომიკური ზრდა ხასიათდება ზრდის სწრაფი ტენდენციით.

შემცირებულია მშპ-ს დეფლატორის 2023 წლის ფაქტობრივი დონე, თუმცა 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი გაზრდილია დეკემბრის პროგნოზთან შედარებით, ხოლო საშუალოვადიანი პერიოდის მშპ დეფლატორთან დაკავშირებულ პროგნოზებს შორის განსხვავება არ შეინიშნება. მიმდინარე პერიოდში დეფლატორის შემცირებული პროგნოზი კი მნიშვნელოვნად არის გამოწვეული სურსათზე და ნავთობსა და ნედლეულზე შემცირებული ფასებით, რასაც თან ახლავს მიწოდების ჯაჭვების აღდგენითი პროცესები. შედარებით დაბალი ინფლაციური მოლოდინები აისახა საპროცენტო

განაკვეთებზეც. ზოგადი ფასების დონის და მათ შორის მშპ-ს დეფლატორის ცვლილების შედეგად, შესაბამისად გადაიხედა ნომინალური მშპ-ს პროგნოზებიც.

ცხრილი №2. ნომინალური მშპ-ს ცვლილება

/მლნ ლარი/

	2023	2024	2025	2026	2027	2028
	ფაქტი	მოსალოდ.	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ნომინალური მშპ-ის წინა პროგნოზი (2023 წლის დეკემბერი)	79 350.4	85 980.9	92 988.4	100 566.9	108 763.1	
ნომინალური მშპ-ის ახალი პროგნოზი	80 246.1	89 607.9	97 372.4	105 308.2	114 107.8	123 760.2

ცხრილი №2 გვიჩვენებს ნომინალური მშპ-ს პროგნოზების ცვლილებას საშუალოვადიან პერიოდში. 2023 წლის ნომინალური მშპ-ს ფაქტობრივი მნიშვნელობა მშპ-ს წინა პროგნოზს (2023 წლის დეკემბერი) აღემატება, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია ინვესტიციების მოსალოდნელზე მაღალი მაჩვენებლით. ამასთან, ზოგადი ფასების დონის ნაკლები ტემპით ზრდის (გარკვეული სასაქონლო კატეგორიების შემთხვევაში კლებაც ფიქსირდება) შედეგად, 2024 წელს 2023 წლის დეკემბრის პროგნოზთან შედარებით გაზრდილია მშპ-ს დეფლატორის პროგნოზიც. როგორც ზემოთ აღინიშნა, მიმდინარე ტენდენციებისა და დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური აქტივობის ფონზე, 2024 წლის რეალური მშპ-ს ზრდის ახალი პროგნოზი აღემატება 2023 წლის პროგნოზს, ასევე უმნიშვნელოდ გაზრდილია დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებელი 2024 წელს და შესაბამისად, გაზრდილია ნომინალური მშპ-ს პროგნოზიც როგორც 2024 წლისთვის, ისე საშუალოვადიანი პერიოდისთვის.

ცხრილი №3. ნაერთი ბიუჯეტი

/მლნ ლარი/

	2023	2024	2025	2026	2027	2028
	ფაქტი	მოსალოდ.	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
შემოსავლების პროგნოზი (2023 წლის დეკემბერი)	21 640.0	24 398.0	26 124.0	27 788.0	29 868.0	
შემოსავლების პროგნოზი (2024 წლის სექტემბერი)	22 124.2	25 235.0	26 730.0	28 760.0	30 930.0	33 380.0
ცვლილება	*484.2*	*837.0*	*606.0*	*972.0*	*1 062.0*	
მ.შ. გადასახადები	322.6	847.0	601.0	897.0	992.0	
ხარჯები და არაფინანსური აქტივების პროგნოზი (2023 წლის დეკემბერი)	24 320.0	26 978.0	28 472.0	30 178.0	32 460.0	
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის პროგნოზი (2024 წლის სექტემბერი)	24 447.0	27 870.0	29 411.0	31 590.0	33 885.0	36 440.0
ცვლილება	*126.5*	*892.0*	*939.0*	*1 412.0*	*1 425.0*	

ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილება მოცემულია №3 ცხრილში. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების განახლებული საპროგნოზო მაჩვენებლები გაზრდილია, რაც ძირითადად გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ზრდით არის განპირობებული.

რაც შეეხება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელს, მისი პროგნოზებიც გაზრდილია 2023 წლის დეკემბრის პროგნოზებთან შედარებით, რაც ითვალისწინებს ძირითადად განათლების და სოციალური მიმართულებით ხარჯებს. მიმდინარე წლის ხარჯებისა და არაფინასნური აქტივების ზრდის პროგნოზები გადამუშავდა და შესაბამისად, შემდგომი საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზებიც განახლდა არსებული ტენდენციების გათვალისწინებით. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილია დოკუმენტის მეორე ნაწილში (ფისკალური ჩარჩო და ფისკალურ წესებთამ შესაბამისობა).

ცხრილი №4 საერთაშორისო სავალუტო ფონდთან პროგრამით გათვალისწინებული მოდიფიცირებული დეფიციტი:

% მშპ-სთან	2023	2024	2025	2026	2027	2028
	ფაქტი	მოსალოდ.	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
2024-2027 წლების პროგნოზი (2023 წლის დეკემბერი)	-2.8%	-2.5%	-2.3%	-2.2%	-2.2%	
2025-2028 წლების პროგნოზი (2024 წლის სექტემბერი)	-2.5%	-2.5%	-2.5%	-2.4%	-2.3%	-2.2%

რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის ბალანსს დოლარებში, საპროგნოზო მაჩვენებლები გაუარესებულია 2024-2027 წლებისთვის. გაუარესებული მიმდინარე ანგარიშის პროგნოზი ძირითადად ტრანსფერებიდან მიღებული შემოსავლების ბალანსის მნიშვნელოვანი გაუარესებით არის გამოწვეული, რაც ამცირებს მეორად შემოსავალს, ძირითადად კერძო სექტორის მხრიდან. გაუმჯობესებულია საქონლისა და მომსახურების ბალანსი (ძირითადად ტურიზმის ზრდის ხარჯზე). რაც შეეხება პირველად შემოსავალს, მოსალოდნელია ასევე მისი შემცირებაც 2023 წლის დეკემბერში მოსალოდნელ დონესთან შედარებით.

ცხრილი №5 მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

/მლნ აშშ დოლარი/

მიმდინარე ანგარიში	2023	2024	2025	2026	2027	2028
	ფაქტი	მოსალოდ.	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
მიმდინარე ანგარიში - ძველი პროგნოზი (2023 წლის დეკემბერი)	**-1 391.1**	**-1 499.6**	**-1 565.0**	**-1 604.2**	**-1 618.7**	
ცვლილებები სულ	**48.9**	**-115.9**	**-73.4**	**-59.3**	**-94.1**	
წმინდა ექსპორტი	492.6	279.4	255.7	233.0	154.5	
პირველადი შემოსავალი	-259.7	-152.8	-54.7	-7.8	23.6	
მეორადი შემოსავალი (ტრანსფერები)	-184.0	-242.4	-274.4	-284.5	-272.1	
მიმდინარე ანგარიშის პროგნოზი (2024 წლის სექტემბერი)	**-1 342.2**	**-1 615.6**	**-1 638.3**	**-1 663.5**	**-1 712.8**	**-1 770.4**

მიმდინარე ანგარიშის ცვლილება 2024 წლისთვის გამოწვეულია ძირითადად ტრანსფერებისა და პირველადი შემოსავლის შემცირებით, ხოლო მეორე მხრივ, წმინდა ექსპორტის საპროგნოზო მაჩვენებლები დეკემბრის პროგნოზებთან შედარებით უფრო მაღალია, რაც ძირითადად მომსახურებით

სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდოს ზრდას უკავშირდება. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, უარყოფითმა ცვლილებებმა გადაწონა და გამოიწვია პროგნოზის შემცირება.

მიუხედავად აბსოლუტურ მნიშვნელობებში მცირედი გაუარესებისა, როგორც 2024 ისე საშუალოვადიან პერიოდში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი თითოეულ წელს გაუმჯობესებულია.

2. ფისკალური ჩარჩო და ფისკალურ წესებთან შესაბამისობა

2.1 ფისკალური ჩარჩოს შედარება

ამ ნაწილში განახლებული, 2025-2028 წლების საშუალოვადიანი ფისკალური პროგნოზები შედარებულია 2021-2023 წლებში მომზადებულ და მიმდინარე წლის ივლისში განახლებულ საშუალოვადიან პროგნოზებთან. კერძოდ, შემოსულობები და მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები.

პამდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში პროგნოზირებულთან შედარებით გაცილებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციები იყო. როგორც 2021 წელს, ასევე 2022 წელს ეკონომიკური პარამეტრები ზრდის მიმართულებით დაკორექტირდა და ორივე წელს რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია.

2021 წელს რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ თავდაპირველად პროგნოზირებული 4,3%-ის ნაცვლად 10,6%, ხოლო 2022 წლისთვის პროგნოზირებული 6,0%-ის ნაცვლად 11,0% შეადგინა. ორი წლის განმავლობაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდის შედეგად მაღალი საბაზო მაჩვენებლების მიუხედავად დადებითი ტენდენციები შენარჩუნდა 2023 წელსაც, კერძოდ თავდაპირველად პროგნოზირებული 5,0%-ის ნაცვლად რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 7,5% შეადგინა.

ჯამში 2021-2023 წლებში ეკონომიკის რეალური ზრდის ჯამურმა მაჩვენებელმა 32,0% შეადგინა, ხოლო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 2020 წელთან შედარებით 63%-ით გაიზარდა და 80.2 მლრდ ლარს გადააჭარბა.

მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა შესაძლებელი გახადა უმოკლეს ვადებში განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია და შედეგად შემცირებულიყო ბიუჯეტის დეფიციტის და მთავრობის ვალის მაჩვენებლები. კერძოდ, 2020 წელს პანდემიის შედეგად მშპ-ს 9,3%-მდე გაზრდილი ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი, 2022 წლის ბოლოსთვის დაუბრუნდა კანონით განსაზღვრულ 3%-იან მაჩვენებელს, ხოლო 2023 წლიდან მისი მაჩვენებელი მშპ-ს 2,5%-ის დონეზეა (ნომინალურ გამოხატულებაში დეფიციტი შემცირდება 2.4 მლრდ ლარზე მეტით). მთავრობის ვალის მოცულობა 2020 წლის 60,2%-იდან 2022 წელს ჩამოვიდა უსაფრთხო, მშპ-ს 40%-იან მაჩვენებელზე დაბლა და მას შემდგომ გრძელდება მისი შემცირების კლებადი დინამიკა.

დაგეგმილთან შედარებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციებია 2024 წელსაც, კერძოდ 2023 წლის ბოლოს, მიმდინარე წლის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი განისაზღვრა 5,2%-ის ოდენობით, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებლის პროგნოზმა 86,0 მლრდ ლარამდე შეადგინა. საგადასახადო შემოსავლების გეგმამ 22,1 მლრდ ლარი შეადგინა, ბიუჯეტის დეფიციტი განისაზღვრა 2,5%-ის, ხოლო მთავრობის ვალი 38%-ის ფარგლებში იყო პროგნოზირებული. წლის პირველ ნახევარში რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 9,1% შეადგინა, რისი გათვალისწინებითაც

გადაიხედა წლიური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი და ნაცვლად 5,2%-ისა, მიმდინარე წლის ივლისში განისაზღვრა 6,0%-ის, ხოლო მიმდინარე წლის სექტემბერში 8,2%-ის ოდენობით. მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებლის პროგნოზი წინა წლის დეკემბერში დაგეგმილი 86.0 მლრდ ლარიდან 89,6 მილიარდ ლარამდე გაიზარდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, განახლდა მიმდინარე წლის და საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზები.

2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების განახლებული საპროგნოზო მაჩვენებლები 2023 წლის დეკემბრის პროგნოზთან შედარებით გაზრდილია, რაც ძირითადად გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ზრდით არის განპირობებული. ამასთან, დამატებითი რესურსები მიიმართება მიმდინარე წელს არსებული ვალდებულებების სრულად დასაფინანსებლად, მათ შორისაა ჯანდაცვის და განათლების მიმართულებები, სპორტსმენების ჯილდოები, გაზრდილი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, ელექტრონული არჩევნების ჩატარების ღონისძიებების დაფინანსება და სხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გადაიხედა მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაგეგმილი მაჩვენებლები და განახლდა მიმდინარე წლის და შემდგომი წლების პროგნოზები. 2024 წლის და 2025-2028 წლების მოსალოდნელ პროგნოზებში გათვალისწინებულია მიმდინარე ხარჯების გაზრდა (ძირითადად განათლების და სოციალური ხარჯების ზრდის გამო). წინა წლის დეკემბრის პროგნოზთან შედარებით 2024-2028 წლებში გაიზარდა კაპიტალური ხარჯების პროგნოზები. ამასთან, ამ მიმართულებით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტების საჭიროებების განხილვა და შეფასება და შედეგების გათვალისწინებით განახლდება 2025 წლის და შემდგომი საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზები.

ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა 2024 წელს შეადგინა 2.5%, 2025 წელს 2,5%, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში კი შენარჩუნებულია 2,3%-ის ფარგლებში.

საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზები

2022-2025 წლების პროგნოზები, რომელიც მომზადდა 2021 წლის ბოლოს ნაწილობრივ კვლავ დაიგეგმა პანდემიის ფონზე და გათვალისწინებულ იქნა 2020 წელს შემოსავლების ფაქტიური დანაკლისის ეფექტი.

2022-2025 წლების პროგნოზში, რომელიც მომზადდა 2021 წლის დეკემბერში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა 2022 წელს მშპ-სთან მიმართებაში 26.5% შეადგინა. შემოსავლების პროგნოზები პანდემიის პირობებში 2020 და 2021 წლებში დაიგეგმა უფრო ნაკლები მოცულობით, თუმცა 2022 წლის განმავლობაში, არსებული დადებითი ტენდენციებიდან გამომდინარე, განახლდა პროგნოზები და აისახა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების დროს. 2022 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები მნიშვნელოვნად 2,0 მლრდ ლარით გაიზარდა 2021 წლის ბოლოს დაგეგმილ მაჩვენებელთან შედარებით და შეადგინა 19,2 მლრდ ლარი, რაც მშპ-ის 26,6%-ია, ხოლო ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 19,4 მლრდ ლარამდე, რაც განახლებული მშპ-ის გათვალისწინებით ასევე 26,6%-ს შეადგენს.

2023-2026 წლების პროგნოზებში, რომელიც მომზადდა 2022 წლის ბოლოს, 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები დაიგეგმა 20,8 მლრდ ლარის ოდენობით, რამაც მშპ-სთან მიმართებაში 26.1% შეადგინა. შემოსავლების პროგნოზები კვლავ კონსერვატიული მიდგომით დაიგეგმა, თუმცა 2023 წლის

განმავლობაში, არსებული დადებითი ტენდენციებიდან გამომდინარე, განახლდა პროგნოზები და აისახა 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების დროს. 2023 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 835.0 მლნ ლარით გაიზარდა დაგეგმილ მაჩვენებელთან შედარებით და შეადგინა 21,6 მლრდ ლარი, რაც მშპ-ის 27,3%-ია, ხოლო ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 22,1 მლრდ ლარი, რაც მშპ-ის 27,6%-ია.

2024-2027 წლების პროგნოზები, რომელიც მომზადდა 2023 წლის ბოლოს, 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები დაიგეგმა 24,4 მლრდ ლარის ოდენობით, რამაც მშპ-სთან მიმართებაში 28.4% შეადგინა. 2024 წლის განმავლობაში განახლებული პროგნოზებით ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, 2023 წლის დეკემბრის პროგნოზთან შედარებით, ჯამში 837.0 მლნ ლარით არის გაზრდილი და 25,2 მლრდ ლარზე მეტს შეადგენს, რაც მშპ-ის 28,2%-ია. ამასთან, საშუალოვადიან 2025-2028 წლებში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები მშპ-ის 27,2%-ის ფარგლებშია პროგნოზირებული.

შემოსულობების პროგნოზების შედარება და მშპ-სთან პროცენტული ცვლილებები მოცემულია №6 ცხრილში:

ცხრილი №6 - შემოსულობების პროგნოზები

/მლნ ლარი/

დასახელება	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
შემოსავლები							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	17 205.0	18 228.0	19 732.0	21 266.0			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	19 217.0	20 805.0	22 076.0	23 794.0	25 704.0		
ცვლილება	*2 012.0*	*2 577.0*	*2 344.0*	*2 528.0*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	19 377.6	21 640.0	24 398.0	26 124.0	27 788.0	29 868.0	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	19 377.6	22 124.2	24 850.0	26 200.0	28 350.0	30 550.0	32 950.0
ცვლილება	*0.0*	*484.2*	*452.0*	*76.0*	*562.0*	*682.0*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	19 377.6	22 124.2	25 235.0	26 730.0	28 760.0	30 930.0	33 380.0
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*0.1*	*484.2*	*837.0*	*606.0*	*972.0*	*1 062.0*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.1*	*0.0*	*385.0*	*530.0*	*410.0*	*380.0*	*430.0*
არაფინანსური აქტივების კლება							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	450.0	250.0	250.0	250.0			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	450.0	350.0	300.0	300.0	250.0		
ცვლილება	*0.0*	*100.0*	*50.0*	*50.0*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	435.6	350.0	350.0	300.0	300.0	300.0	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	435.6	433.5	350.0	300.0	250.0	200.0	200.0
ცვლილება	*0.0*	*83.5*	*0.0*	*0.0*	*-50.0*	*-100.0*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**435.6**	**433.5**	**400.0**	**350.0**	**300.0**	**300.0**	**300.0**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*0.0*	*83.5*	*50.0*	*50.0*	*0.0*	*0.0*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.0*	*0.0*	*50.0*	*50.0*	*50.0*	*100.0*	*100.0*
ფინანსური აქტივების კლება							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	130.0	130.0	130.0	130.0			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	150.0	440.0	130.0	130.0	130.0		
ცვლილება	*20.0*	*310.0*	*0.0*	*0.0*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	102.4	420.0	270.0	130.0	130.0	130.0	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	102.4	228.4	270.0	130.0	130.0	130.0	130.0
ცვლილება	*0.0*	*-191.6*	*0.0*	*0.0*	*0.0*	*0.0*	

დასახელება	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**102.4**	**228.4**	**270.0**	**250.0**	**250.0**	**250.0**	**250.0**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*0.0*	*-191.6*	*0.0*	*120.0*	*120.0*	*120.0*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.0*	*0.0*	*0.0*	*120.0*	*120.0*	*120.0*	*120.0*
% მშპ-თან							
შემოსავლები							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	26.5%	25.9%	25.8%	25.7%			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	26.6%	26.1%	25.6%	25.4%	25.4%		
ცვლილება	*0.1%*	*0.2%*	*-0.3%*	*-0.3%*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	26.8%	27.3%	28.4%	28.1%	27.6%	27.5%	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	26.6%	27.6%	28.3%	27.6%	27.6%	27.4%	27.3%
ცვლილება	*-0.2%*	*0.3%*	*0.0%*	*-0.5%*	*-0.1%*	*-0.1%*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**26.6%**	**27.6%**	**28.2%**	**27.5%**	**27.3%**	**27.1%**	**27.0%**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*-0.2%*	*0.3%*	*-0.2%*	*-0.6%*	*-0.3%*	*-0.4%*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.0%*	*0.0%*	*-0.2%*	*-0.1%*	*-0.2%*	*-0.3%*	*-0.3%*
არაფინანსური აქტივების კლება							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	0.7%	0.4%	0.3%	0.3%			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	0.6%	0.4%	0.3%	0.3%	0.2%		
ცვლილება	*-0.1%*	*0.1%*	*0.0%*	*0.0%*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	0.6%	0.4%	0.4%	0.3%	0.3%	0.3%	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	0.6%	0.5%	0.4%	0.3%	0.2%	0.2%	0.2%
ცვლილება	*0.0%*	*0.1%*	*0.0%*	*0.0%*	*-0.1%*	*-0.1%*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**0.6%**	**0.5%**	**0.4%**	**0.4%**	**0.3%**	**0.3%**	**0.2%**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*0.0%*	*0.1%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.1%*	*0.1%*
ფინანსური აქტივების კლება							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	0.2%	0.2%	0.2%	0.2%			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	0.2%	0.6%	0.2%	0.1%	0.1%		
ცვლილება	*0.0%*	*0.4%*	*0.0%*	*0.0%*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	0.1%	0.5%	0.3%	0.1%	0.1%	0.1%	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	0.1%	0.3%	0.3%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%
ცვლილება	*0.0%*	*-0.2%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**0.1%**	**0.3%**	**0.3%**	**0.3%**	**0.2%**	**0.2%**	**0.2%**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*0.0%*	*-0.2%*	*0.0%*	*0.1%*	*0.1%*	*0.1%*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.1%*	*0.1%*	*0.1%*	*0.1%*

მიმდინარე წელს საგარეო ვალის ნაწილში ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელი მიმდინარე და შემდგომ საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნებულია მშპ-სთან თითქმის იგივე პროცენტულ მაჩვენებელზე. ასევე აღსანიშნავია, რომ საგარეო ვალის აღებაში 2026 წლის პროგნოზი ითვალისწინებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახელით გამოშვებული, 2026 წელს დასაფარი ევროობლიგაციის რეფინანსირებას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ევროობლიგაციის რეფინანსირება წარმოადგენს საბაზისო დაშვებას და გადაწყვეტილება რეფინანსირების შესახებ მათ შორის ინსტრუმენტის ტიპის, მოცულობის და სხვა სპეციფიკაციების შესახებ განხილვის საგანია და აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული იქნება 2025 წელს.

განახლებული პროგნოზებით, 2024 წელს ვალდებულებების ზრდა გათვალისწინებულია მშპ-ის 3,8%-ის ფარგლებში. 2025 წელს ვალდებულებების ზრდის სახით მისაღები სახსრები განისაზღვრა 3 585,2 მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ს 3,9%-ია. მათ შორის, საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მისაღები სახსრები შეადგენს 1 600.0 მლნ ლარს, საინვესტიციო კრედიტების მაჩვენებელი შეადგენს 1 385,2 მლნ ლარს, ხოლო საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების მაჩვენებელი შეადგენს 600,0 მლნ ლარს.

საშუალოვადიან პერიოდში ვალდებულებების ზრდა მშპ-სთან მიმართებაში საშუალოდ 3,9%-ის ფარგლებშია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი №7) წარმოდგენილია ვალდებულებების ზრდის პროგნოზები 2024-2028 წლებისთვის:

ცხრილი №7 - ვალდებულებების ზრდის პროგნოზები

(მლნ ლარი)

დასახელება	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ვალდებულებების ზრდა							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	4 337.0	3 485.0	3 485.0	3 485.0			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	3 582.0	3 584.0	3 560.0	3 660.0	5 020.0		
ცვლილება	*-755.0*	*99.0*	*75.0*	*175.0*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	3 722.8	3 210.0	3 259.0	3 625.0	4 985.0	3 835.0	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	3 722.8	3 447.1	3 220.0	3 615.0	4 970.0	3 815.0	4 010.0
ცვლილება	*0.0*	*237.1*	*-39.0*	*-10.0*	*-15.0*	*-20.0*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**3 733.9**	**3 468.9**	**3 440.0**	**3 585.2**	**5 150.0**	**4 000.0**	**4 200.0**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*11.1*	*258.9*	*181.0*	*-39.8*	*165.0*	*165.0*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*11.1*	*21.8*	*220.0*	*-29.8*	*180.0*	*185.0*	*190.0*
მ.შ. საშინაო							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	1 285.0	1 385.0	1 485.0	1 485.0			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	1 240.0	1 340.0	1 460.0	1 560.0	1 620.0		
ცვლილება	*-45.0*	*-45.0*	*-25.0*	*75.0*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	1 337.3	1 330.0	1 420.0	1 525.0	1 585.0	1 685.0	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	1 337.3	1 437.7	1 420.0	1 515.0	1 570.0	1 665.0	1 760.0
ცვლილება	*0.0*	*107.7*	*0.0*	*-10.0*	*-15.0*	*-20.0*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**1 348.3**	**1 459.4**	**1 500.0**	**1 600.0**	**1 700.0**	**1 800.0**	**1 900.0**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*11.0*	*129.4*	*80.0*	*75.0*	*115.0*	*115.0*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*11.0*	*21.7*	*80.0*	*85.0*	*130.0*	*135.0*	*140.0*
მ.შ. საგარეო							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	3 052.0	2 100.0	2 000.0	2 000.0			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	2 342.0	2 244.0	2 100.0	2 100.0	3 400.0		
ცვლილება	*-710.0*	*144.0*	*100.0*	*100.0*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	2 385.5	1 880.0	1 839.0	2 100.0	3 400.0	2 150.0	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	2 385.5	2 009.4	1 800.0	2 100.0	3 400.0	2 150.0	2 250.0
ცვლილება	*0.0*	*129.4*	*-39.0*	*0.0*	*0.0*	*0.0*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**2 385.5**	**2 009.4**	**1 940.0**	**1 985.2**	**3 450.0**	**2 200.0**	**2 300.0**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*0.0*	*129.4*	*101.0*	*-114.8*	*50.0*	*50.0*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.0*	*0.0*	*140.0*	*-114.8*	*50.0*	*50.0*	*50.0*
% მშპ-თან							

დასახელება	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ვალდებულებების ზრდა							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	6.7%	4.9%	4.6%	4.2%			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	5.0%	4.5%	4.1%	3.9%	5.0%		
ცვლილება	*-1.7%*	*-0.4%*	*-0.4%*	*-0.3%*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	5.2%	4.0%	3.8%	3.9%	5.0%	3.5%	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	5.1%	4.3%	3.7%	3.8%	4.8%	3.4%	3.3%
ცვლილება	*0.0%*	*0.3%*	*-0.1%*	*-0.1%*	*-0.1%*	*-0.1%*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**5.1%**	**4.3%**	**3.8%**	**3.7%**	**4.9%**	**3.5%**	**3.4%**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*0.0%*	*0.3%*	*0.0%*	*-0.2%*	*-0.1%*	*0.0%*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.0%*	*0.0%*	*0.2%*	*-0.1%*	*0.1%*	*0.1%*	*0.1%*
მ.შ. სამინაო							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	2.0%	2.0%	1.9%	1.8%			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	1.7%	1.7%	1.7%	1.7%	1.6%		
ცვლილება	*-0.3%*	*-0.3%*	*-0.3%*	*-0.1%*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	1.9%	1.7%	1.7%	1.6%	1.6%	1.5%	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	1.8%	1.8%	1.6%	1.6%	1.5%	1.5%	1.5%
ცვლილება	*0.0%*	*0.1%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*-0.1%*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**1.9%**	**1.8%**	**1.7%**	**1.6%**	**1.6%**	**1.6%**	**1.5%**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*0.0%*	*0.1%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.0%*	*0.0%*	*0.1%*	*0.0%*	*0.1%*	*0.1%*	*0.1%*
მ.შ. საგარეო							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	4.7%	3.0%	2.6%	2.4%			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	3.2%	2.8%	2.4%	2.2%	3.4%		
ცვლილება	*-1.5%*	*-0.2%*	*-0.2%*	*-0.2%*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	3.3%	2.4%	2.1%	2.3%	3.4%	2.0%	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	3.3%	2.5%	2.1%	2.2%	3.3%	1.9%	1.9%
ცვლილება	*0.0%*	*0.1%*	*-0.1%*	*0.0%*	*-0.1%*	*0.0%*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**3.3%**	**2.5%**	**2.2%**	**2.0%**	**3.3%**	**1.9%**	**1.9%**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*0.0%*	*0.1%*	*0.0%*	*-0.2%*	*-0.1%*	*0.0%*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.0%*	*0.0%*	*0.1%*	*-0.2%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*

2020-2021 წლებში პანდემიის გამო გაზრდილი მიმდინარე ხარჯები 2022 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა. 2022 წელს მიმდინარე ხარჯების ფაქტიური მოცულობამ ჯამში შეადგინა 15,6 მლრდ ლარი, რაც მშპ-ს 21,4%-ს შეადგინა.

2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების მოცულობა 2022 წლის დეკემბერში დაიგეგმა 17.4 მლრდ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 21,9%-ის ფარგლებშია, თუმცა 2023 წლის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 17.9 მლრდ ლარი, რაც მშპ-ის 22,3%-ია.

2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების მოცულობა 2023 წლის დეკემბერში დაიგეგმა 20.1 მლრდ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 23,3%-ის ფარგლებშია, თუმცა მიმდინარე წელს გადამუშავებული პროგნოზების მიხედვით გაზრდილია 20.7 მლრდ ლარამდე, რაც მშპ-ის 23,1%-ია.

2024 წლის მიმდინარე ხარჯების გაზრდა ძირითადად გამოწვეულია ჯანმრთელობის და განათლების მიმართულებით დამატებით არსებული საჭიროებების დაფინანსებით, ასევე სტიქიის

შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად არსებული საჭიროებების, სპორტსმენების ჯილდოების, ელექტრონული არჩევნების ღონისძიებების, ასევე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებით.

2025 წელს მიმდინარე ხარჯების მოცულობა 22,5 მლრდ ლარზე მეტია, რაც მშპ-სთან მიმართებაში 23,1%-ს შეადგენს, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მიმდინარე ხარჯების მოცულობა მშპ-სთან მიმართებაში საშუალოდ 23.6%-ის ფარგლებშია შენარჩუნებული.

კაპიტალური ხარჯების მოცულობა (არაფინანსური აქტივების ზრდა და ფინანსური აქტივების ზრდა) როგორც 2024, ისე 2025 წელსაც 7.0 მლრდ ლარს აჭარბებს. 2025 წლის მაჩვენებელი მშპ-ის 7.4%-ის ფარგლებში, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში 6,5%-ზე მაღალ ნიშნულზეა შენარჩუნებული.

2025 წელს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ნაწილი 31,2 მლრდ ლარს შეადგენს, რომლის ფარგლებშიც სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები.

2025 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს:

- **სოციალური მიმართულებით**

  მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერისა და ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 870.0 მლნ ლარით, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია:
  - 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია იზრდება 35 ლარით და განისაზღვრება 450 ლარის ოდენობით. ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში თითქმის 540 ლარს გაუტოლდება;
  - 70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 20 ლარით და განისაზღვრება 335 ლარის ოდენობით, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 400 ლარს გადააჭარბებს;
  - გარდა პენსიისა, გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე შშმ პირების სოციალური გასაცემლის ზრდა 35 ლარით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა გასაცემლის ზრდა 20 ლარით;
  - ჯამში სოციალური პროგრამების დაფინანსება შეადგენს 6,3 მილიარდ ლარს;
  - ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილია 1,9 მილიარდ ლარზე მეტი, მათ შორის გათვალისწინებულია პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა;
  - დევნილთა სახლებით უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია 240,0 მლნ ლარი.

- **განათლების მიმართულებით**

  განათლების და მეცნიერების მიმართულებით დაფინანსება გაზრდილია 370,0 მლნ ლარზე მეტით, რომლის ფარგლებშიც:
  - საჯარო სკოლების დაფინანსებაზე მიიმართება დამატებით 200,0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მიმდინარე წლის ივლისიდან გაზრდილი ხელფასების სრულად დაფინანსება;
  - გათვალისწინებულია საჯარო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის და მანდატურის ხელფასების 10%-იანი ზრდა;

- საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 560,0 მლნ ლარზე მეტი;
- საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართება 180,0 მლნ ლარზე მეტი;

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში შესაძლებელი იქნება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების ზრდა.

- **კულტურისა და სპორტის** დაფინანსებაზე ნაერთი ბიუჯეტიდან მიიმართება 920,0 მლნ ლარზე მეტი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულია 515,0 მლნ ლარი;

- **თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით**
  - თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უსაფრთხოების სამსახურების დაფინანსება იზრდება 330,0 მლნ ლარზე მეტით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება პოლიციელებისა და ჯარისკაცების ხელფასების 10%-იანი ზრდა;
  - თავდაცვის ინფრასტრუქტურასა და შესაძლებლობების განვითარებისათვის გათვალისწინებულია 410,0 მლნ ლარი;

- **ინფრასტრუქტურა**

  ჯამში, ნაერთი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართება 7,0 მილიარდ ლარზე მეტი, მათ შორის:
  - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიიმართება 1,5 მილიარდ ლარამდე, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობას მოხმარდება 1,0 მილიარდ ლარამდე;
  - მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის გათვალისწინებულია 2,1 მილიარდ ლარზე მეტი;
  - წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის გაუმჯობესებაზე მიიმართება 670,0 მლნ ლარზე მეტი;
  - საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე მიიმართება 930,0 მლნ ლარამდე;
  - ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე გათვალისწინებულია 150,0 მლნ ლარზე მეტი.

- **მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის** მიზნით 2025 წელს გათვალისწინებულია 280,0 მლნ ლარზე მეტი.

- **სოფლის მეურნეობის** პროგრამების დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 630,0 მლნ ლარზე მეტი;

- **გარემოს დაცვის** პროგრამების დაფინანსებისთვის გამოყოფილია 240,0 მლნ ლარამდე;

- **საჯარო მოხელეთა ანაზღაურება**

  2022 წელს საჯარო მოხელეთა ანაზღაურების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად 2025 წელს გათვალისწინებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა ანაზღაურების 10%-იანი ზრდა;

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი №8) წარმოდგენილია მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროგნოზები 2025-2028 წლებისთვის:

ცხრილი №8 - მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროგნოზები

მლნ ლარი

დასახელება	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ხარჯები							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	14 753.0	15 768.0	16 887.0	18 071.0			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	15 743.0	17 416.0	18 364.0	19 832.0	21 357.0		
ცვლილება	*990.0*	*1 648.0*	*1 477.0*	*1 761.0*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	15 610.9	17 841.0	20 071.0	21 792.0	23 558.0	25 520.0	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	15 610.9	17 913.2	20 320.0	22 360.0	24 391.0	26 316.0	28 422.0
ცვლილება	*0.0*	*72.2*	*249.0*	*568.0*	*833.0*	*796.0*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**15 616.1**	**17 913.6**	**20 700.0**	**22 531.0**	**24 840.0**	**26 835.0**	**28 990.0**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*5.2*	*72.6*	*629.0*	*739.0*	*1 282.0*	*1 315.0*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*5.2*	*0.4*	*380.0*	*171.0*	*449.0*	*519.0*	*568.0*
კაპიტალური ხარჯები							
არაფინანსური აქტივების ზრდა							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	5 679.0	4 669.0	5 024.0	5 374.0			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	5 935.0	6 120.0	5 910.0	6 310.0	6 690.0		
ცვლილება	*256.0*	*1 451.0*	*886.0*	*936.0*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	5 968.2	6 479.0	6 907.0	6 680.0	6 620.0	6 940.0	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	5 968.2	6 532.8	7 110.0	6 350.0	6 450.0	6 850.0	7 325.0
ცვლილება	*0.0*	*53.8*	*203.0*	*-330.0*	*-170.0*	*-90.0*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**5 968.2**	**6 532.9**	**7 170.0**	**6 880.0**	**6 750.0**	**7 050.0**	**7 450.0**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*0.0*	*53.9*	*263.0*	*200.0*	*130.0*	*110.0*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.0*	*0.1*	*60.0*	*530.0*	*300.0*	*200.0*	*125.0*
ფინანსური აქტივების ზრდა							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	205.0	250.0	250.0	250.0			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	390.0	320.0	250.0	250.0	250.0		
ცვლილება	*185.0*	*70.0*	*0.0*	*0.0*			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	443.5	290.0	227.0	260.0	260.0	265.0	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	443.5	320.4	227.0	230.0	230.0	230.0	230.0
ცვლილება	*0.0*	*30.4*	*0.0*	*-30.0*	*-30.0*	*-35.0*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	443.5	320.4	250.0	329.0	230.0	230.0	230.0
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*0.0*	*30.4*	*23.0*	*69.0*	*-30.0*	*-35.0*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.0*	*0.0*	*23.0*	*99.0*	*0.0*	*0.0*	*0.0*
% მშპ-თან							
ხარჯები							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	22.8%	22.4%	22.1%	21.8%			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	21.8%	21.9%	21.3%	21.2%	21.1%		

დასახელება	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ცვლილება	-1.0%	-0.5%	-0.9%	-0.6%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	21.6%	22.5%	23.3%	23.4%	23.4%	23.5%	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	21.4%	22.3%	23.2%	23.5%	23.7%	23.6%	23.5%
ცვლილება	*-0.2%*	*-0.2%*	*-0.2%*	*0.1%*	*0.3%*	*0.1%*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**21.4%**	**22.3%**	**23.1%**	**23.1%**	**23.6%**	**23.5%**	**23.4%**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*-0.2%*	*-0.2%*	*-0.2%*	*-0.3%*	*0.2%*	*0.1%*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.0%*	*0.0%*	*-0.1%*	*-0.4%*	*-0.1%*	*-0.1%*	*-0.1%*
კაპიტალური ხარჯები							
არაფინანსური აქტივების ზრდა							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	8.8%	6.6%	6.6%	6.5%			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	8.2%	7.7%	6.8%	6.7%	6.6%		
ცვლილება	-0.5%	1.1%	0.3%	0.2%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	8.3%	8.2%	8.0%	7.2%	6.6%	6.4%	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	8.2%	8.1%	8.1%	6.7%	6.3%	6.1%	6.1%
ცვლილება	*-0.1%*	*0.0%*	*0.1%*	*-0.5%*	*-0.3%*	*-0.2%*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**8.2%**	**8.1%**	**8.0%**	**7.1%**	**6.4%**	**6.2%**	**6.0%**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*-0.1%*	*0.0%*	*0.0%*	*-0.1%*	*-0.2%*	*-0.2%*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.0%*	*0.0%*	*-0.1%*	*0.4%*	*0.1%*	*0.0%*	*0.0%*
ფინანსური აქტივების ზრდა							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	0.3%	0.4%	0.3%	0.3%			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	0.5%	0.4%	0.3%	0.3%	0.2%		
ცვლილება	0.2%	0.0%	0.0%	0.0%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	0.6%	0.4%	0.3%	0.3%	0.3%	0.2%	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	0.6%	0.4%	0.3%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	**0.6%**	**0.4%**	**0.3%**	**0.3%**	**0.2%**	**0.2%**	**0.2%**
ცვლილება (დეკემბრის პროგნოზთან)	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.1%*	*0.0%*	*0.0%*	
ცვლილება (ივლისის პროგნოზთან)	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.1%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი არ შეცვლილა და წარმოდგენილია პირველად ვარიანტში არსებული პარამეტრების ფარგლებში. ამასთან, მაკროეკონომიკური დინამიკის ანალიზის პარალელურად, გაიმართება კონსულტაციები ახალარჩეულ პარლამენტთან და შესაბამისად მოხდება ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის ფორმირება.

2.2 საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური ჩარჩოს შესაბამისობა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ფისკალურ წესებთან

ბიუჯეტის დეფიციტი

პანდემიის შემდგომ, 2021 წლიდან ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებულზე სწრაფი აღდგენიდან გამომდინარე, წლის ბოლოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 6,2%, დაგეგმილ მაჩვენებელთან (7.7%) შედარებით. შესაბამისად დაგეგმილთან შედარებით შესაძლებელი გახდა დეფიციტის კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებში ჩამოსვლა განხორციელებულიყო უფრო თანაბარი ტემპით. 2022 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი დაგეგმილი იყო 4,2 პროცენტის ფარგლებში, ხოლო 2022 წლის ფაქტიურმა მაჩვენებელი ჩამოცდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს და მშპ-სთან მიმართებაში 2,2% შეადგინა. 2023 წლისათვის სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაიგეგმა (-2 261,0) მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 2,8%-ს შეადგენს, ხოლო ფაქტიურმა მაჩვენებელმა (-1 781,8) მლნ ლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 2,2%-ია. 2024 წელს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო შეადგენს (-2 235.0) მლნ ლარს, რაც მშპ-ის 2.5%-ია.

განახლებული პროგნოეებით „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, იმავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზღვრული პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 2025 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო, განისაზღვრება (-2 440.3) მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 2.5%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 3%);
- 2025 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 36.8%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების საორიენტაციო შეფასება (2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინასწარი მონაცემებით) – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 0.03%-ით, რაც არ ახდენს გავლენას ჯამურ მაჩვენებელზე (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%).

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გაანგარიშებული ნაერთი ბიუჯეტის მოდიფიცირებულ დეფიციტს, მისი მოცულობაც 2025 წელს (-2 410,0) მლნ ლარია და მშპ-ს 2,5%-ს შეადგენს.

2024 წლის და 2025-2028 წლებში ნაერთი ბიუჯეტის და სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გათვალისწინებული მოდიფიცირებული დეფიციტის პროგნოზები მოცემულია №9 ცხრილში.

ცხრილი №9 - ბიუჯეტის დეფიციტის პროგნოზები

ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (დეფიციტი)

/მლნ ლარი/

დასახელება	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	-2 777.0	-1 959.0	-1 929.0	-1 929.0			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-2 011.0	-2 381.0	-1 898.0	-2 048.0	-2 093.0		
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	-1 766.0	-2 330.0	-2 230.0	-2 048.0	-2 090.0	-2 292.0	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	-1 766.0	-1 888.3	-2 230.0	-2 210.0	-2 241.0	-2 416.0	-2 597.0
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	-1 771.1	-1 888.8	-2 235.0	-2 331.0	-2 530.0	-2 655.0	-2 760.0
მოდიფიცირებული დეფიციტი (IMF პროგრამა)							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	-2 852.0	-2 079.0	-2 049.0	-2 049.0			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-2 251.0	-2 261.0	-2 018.0	-2 168.0	-2 213.0		
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	-2 203.0	-2 200.0	-2 187.0	-2 178.0	-2 220.0	-2 427.0	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	-2 203.0	-1 976.9	-2 187.0	-2 310.0	-2 341.0	-2 516.0	-2 697.0
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	-2 208.1	-1 977.5	-2 215.0	-2 410.0	-2 510.0	-2 635.0	-2 740.0
% მშპ-თან							
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	-4.4%	-3.0%	-2.7%	-2.5%			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-3.1%	-2.8%	-2.3%	-2.3%	-2.2%		
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	-3.0%	-2.8%	-2.5%	-2.3%	-2.2%	-2.2%	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	-3.0%	-2.5%	-2.5%	-2.4%	-2.3%	-2.3%	-2.2%
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	-3.0%	-2.5%	-2.5%	-2.5%	-2.4%	-2.3%	-2.2%
მოდიფიცირებული დეფიციტი (IMF პროგრამა)							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	-4.4%	-3.0%	-2.7%	-2.5%			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-3.1%	-2.8%	-2.3%	-2.3%	-2.2%		
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	-3.0%	-2.8%	-2.5%	-2.3%	-2.2%	-2.2%	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	-3.0%	-2.5%	-2.5%	-2.4%	-2.3%	-2.3%	-2.2%
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	-3.0%	-2.5%	-2.5%	-2.5%	-2.4%	-2.3%	-2.2%

სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (დეფიციტი)

/მლნ ლარი/

დასახელება	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
მთლიანი სალდო							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	-2 750.0	-1 940.0	-1 923.0	-1 959.0			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-1 963.0	-2 261.0	-1 868.0	-2 083.0	-2 153.0		
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	-1 600.5	-2 346.0	-2 177.0	-2 158.0	-2 167.0	-2 396.0	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	-1 600.5	-1 786.3	-2 059.6	-1 951.4	-2 030.4	-2 255.1	-2 427.3
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	-1 600.5	-1 781.8	-2 265.0	-2 440.3	-2 735.0	-3 015.0	-3 230.0
% მშპ-თან							
მთლიანი სალდო							
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	-4.2%	-2.8%	-2.5%	-2.4%			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-2.7%	-2.8%	-2.2%	-2.2%	-2.1%		
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	-2.2%	-3.0%	-2.5%	-2.3%	-2.2%	-2.2%	
2025-2028 (2024 წლის ივლისი)	-2.2%	-2.2%	-2.3%	-2.1%	-2.0%	-2.0%	-2.0%
2025-2028 (2024 წლის სექტემბერი)	-2.2%	-2.2%	-2.5%	-2.5%	-2.6%	-2.6%	-2.6%

მთავრობის ვალი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მთავრობის ვალის საპროგნოზო მაჩვენებლებში ცვლილება გასულ წელს მომზადებულ პროგნოზებთან შედარებით ძირითადად გამოწვეულია მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მოსალოდნელი მნიშვნელობების 2024 წელს 8.2%-მდე, ხოლო 2025-ში 5.5%-მდე ზრდით. 2025 წლის ბოლოსთვის მოსალოდნელია მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებლის შემცირება 36.8%-მდე. აღნიშნული მაჩვენებლის კლება პროგნოზირებულია შემდეგ წლებშიც და 2028 წლის ბოლომდე 34.6%-მდე შემცირდება.

მთავრობის ვალის პორტფელის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ვალის პორტფელში საგარეო ვალის წილის მაღალი დონე (2024 წლისთვის - 69.6%), რის შედეგადაც ვალის მაჩვენებლები მოწყვლადია სავალუტო კურსის ნეგატიური შოკების მიმართ. შესაბამისად, მთავრობის ვალის მართვის განახლებული სტრატეგია 2024-2027 (https://mof.ge/5231) ვალის მშპ-თან ფარდობის უსაფრთხო დონეზე შენარჩუნებასთან ერთად, ორიენტირებულია მთლიან ვალში საგარეო ვალის წილის შემცირებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი №10) წარმოდგენილია მთავრობის ვალის პროგნოზები 2025-2028 წლებისთვის:

ცხრილი №10 - მთავრობის ვალის მოცულობების პროგნოზების შედარება

(მლნ ლარი)

მთავრობის ვალი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
2022-2025 წლები (2021 წლის დეკემბერი)	29,905	33,123	35,348	37,413	39,417			
% მშპ-სთან	*51.1%*	*51.1%*	*50.2%*	*49.0%*	*47.7%*			
2023-2026 წლები (2022 წლის დეკემბერი)	29,812	28,609	30,539	32,679	34,799	36,819		
% მშპ-სთან	*49.7%*	*39.6%*	*38.3%*	*37.8%*	*37.2%*	*36.4%*		
2024-2027 წლები (2023 წლის დეკემბერი)	29,812	28,538	30,291	32,711	35,150	37,783	40,368	
% მშპ-სთან	*49.7%*	*39.5%*	*38.2%*	*38.0%*	*37.8%*	*37.6%*	*37.1%*	
2025-2028 წლები (2024 წლის ივლისი)	29,812	28,538	31,482	33,694	35,872	38,348	40,946	43,575
% მშპ-სთან	*49.7%*	*39.8%*	*39.2%*	*38.4%*	*37.7%*	*37.3%*	*36.7%*	*36.1%*
2025-2028 წლები (2024 წლის სექტემბერი)	29,812	28,538	31,482	32,714	35,827	37,593	40,171	42,883
% მშპ-სთან	*49.1%*	*39.2%*	*39.2%*	*36.5%*	*36.8%*	*35.7%*	*35.2%*	*34.6%*

3. ფისკალური პარამეტრების ციკლურობა და ფისკალური პოლიტიკა

ფისკალური პოლიტიკის შეფასების ერთ-ერთი მიდგომაა, განისაზღვროს მისი დისკრეციული ნაწილი და გაანალიზდეს, აღნიშნული ეკონომიკური ციკლების სხვადასხვა ეტაპზე (ციკლის შესაფასებლად გამოიყენება მიმდინარე მშპ-ს პოტენციური მშპ-დან გადახრის პროცენტული მაჩვენებელი - ე.წ. „გეპი“) რა გავლენას ახდენდა ეკონომიკის აქტივობაზე. ამისათვის საჭიროა არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- განისაზღვროს ეკონომიკის ციკლის სიდიდე;
- ამის შემდგომ, ფისკალური პოლიტიკიდან გამოირიცხოს ციკლის გავლენა, რაც ციკლურად შესწორებული ფისკალური ინდიკატორების გამოთვლას გულისხმობს; და
- არსებული ციკლურად შესწორებული ინდიკატორების საფუძველზე შეფასდეს ე.წ. ფისკალური იმპულსი და გაანალიზდეს იგი ეკონომიკის ციკლთან მიმართებაში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მშპ-ს „გეპი“ შეფასებულია ე.წ. „კობ-დუგლასის“ საწარმოო ფუნქციის მეშვეობით[1], სადაც ეკონომიკის მთლიან აქტივობას განსაზღვრავს სამუშაო ძალა, კაპიტალის მოცულობა და ფაქტორების პროდუქტიულობა.

შეფასებული „გეპის“ მეშვეობით ხდება ფისკალური პარამეტრების და საქართველოს შემთხვევაში ძირითადად შემოსავლების არსებული მონაცემებიდან ე.წ. ციკლური კომპონენტის გამოთვლა და ინდიკატორების ციკლურად შესწორება. თუ ეკონომიკა თავის პოტენციურ დონეზე მეტად ვითარდება და არსებობს მშპ-ს დადებითი „გეპი“, მიჩნეულია, რომ გადასახადების დისკრეციული ნაწილი არის ფაქტიურთან შედარებით მცირე და გადასახადები უნდა შესწორდეს შემცირების მიმართულებით (რადგან ციკლური ნაწილი გამოწვეული იყო ეკონომიკის პოზიციის გამო და არა დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის გამო) და პირიქით, თუ ეკონომიკაში არის მშპ-ს უარყოფითი „გეპი“, რეალური მონაცემები ზრდის მიმართულებით კორექტირდება.

ციკლურად შესწორებული პარამეტრების საშუალებით გამოითვლება ციკლურად შესწორებული ბალანსი და შესაბამისად ე.წ. ფისკალური პოზიცია, რომელიც ციკლურად შესწორებული ბიუჯეტია საპირისპირო ნიშნით. საბოლოო მიზანი კი არის ე.წ. ფისკალური იმპულსის გამოთვლა, რომელიც მიმდინარე და წინა წლის ფისკალურ პოზიციებს შორის სხვაობას წარმოადგენს. ფისკალური იმპულსის დასათვლელად გამოიყენება ე.წ. ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი, სადაც გაანგარიშებებისას ამოღებულია ხარჯებში არსებული როგორც შიდა, ისე გარე ვალის პროცენტის მომსახურება.

ყველაზე მარტივი მიდგომით ფისკალური იმპულსისა და მშპ-ს „გეპის“ კომბინაციით შესაძლებელია შეფასდეს ფისკალური პოლიტიკის ციკლურობა - იგი ანტიციკლურია თუ პროციკლური. ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს დადებით ფისკალურ იმპულსს უარყოფითი გაპის დროს და პირიქით, უარყოფით იმპულსს იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე მშპ პოტენციურ დონეს აღემატება (დადებითი „გეპი“).

[1] პოტენციური მშპ-ს შეფასების და მშპ-ს გაპის გამოთვლის მეთოდოლოგია გამოქვეყნდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე კვლევითი პუბლიკაციის სახით.

ამის გარდა, ფისკალური პოლიტიკის ზომის შეფასებისთვის შესაძლოა ე.წ. სტრუქტურული დეფიციტის დათვლაც, რომელიც ციკლურად შესწორებული ბიუჯეტიდან კიდევ გამორიცხავს ბიუჯეტზე მოქმედ როგორც დადებით, ისე უარყოფით ერთჯერად ეფექტებს, რომელთაც მომავალ წელს ადგილი ვერ ექნება. შესაბამისად, გაანგარიშებიდან ამოღებულია კოვიდზე გაწეული ხარჯები (რამაც სტრუქტურული დეფიციტი შეამცირა), ბანკების მოგების გადასახადის გაანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლილების შედეგად ბიუჯეტში შემოსული გადასახადის ერთჯერადი ეფექტი (რამაც სტრუქტურული დეფიციტი გაზარდა) და ევროკომისიის მეთოდოლოგიის მიდგომით პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები, რადგან კონკრეტული აქტივის პრივატიზაცია მხოლოდ ერთხელ ხდება (რამაც გაზარდა დეფიციტი).

ცხრილი №11. სტრუქტურული ფისკალური ინდიკატორები

დასახელება	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**	**2026**	**2027**	**2028**
რელური მშპ-ს ზრდა	-6.3%	10.6%	11.0%	7.5%	8.2%	5.5%	5.0%	5.2%	5.3%
პოტენციური მშპ-ს ზრდა	2.7%	4.6%	7.2%	6.9%	7.1%	6.7%	5.9%	5.5%	5.3%
მშპ-ს GAP	**-8.1%**	**-2.8%**	**0.6%**	**1.1%**	**2.2%**	**1.1%**	**0.2%**	**-0.1%**	**-0.1%**
ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი	-9.0%	-6.3%	-2.2%	-2.2%	-2.5%	-2.5%	-2.6%	-2.6%	-2.6%
ერთიანი ბიუჯეტის პირველადი დეფიციტი	-7.5%	-4.9%	-1.1%	-0.7%	-0.8%	-0.7%	-0.8%	-0.9%	-0.9%
ციკლური კომპონენტი	-4.4%	-1.4%	0.3%	0.5%	1.1%	0.5%	0.1%	0.0%	0.0%
ციკლურად შესწორებული ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი	-4.6%	-4.8%	-2.5%	-2.8%	-3.6%	-3.0%	-2.7%	-2.6%	-2.6%
ციკლურად შესწორებული ერთიანი ბიუჯეტის პირველადი დეფიციტი	-3.1%	-3.5%	-1.4%	-1.3%	-1.9%	-1.2%	-0.9%	-0.9%	-0.9%
ერთჯერადი ფაქტორები	4.6%	2.8%	0.1%	-0.6%	-0.6%	-0.4%	-0.3%	-0.3%	-0.3%
პრივატიზაცია -	-0.5%	-0.7%	-0.7%	-0.6%	-0.5%	-0.4%	-0.3%	-0.3%	-0.3%
COVID ხარჯები +	5.1%	3.5%	0.8%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ბანკების მოგება -	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	-0.2%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
სტრუქტურული ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი	0.0%	-2.0%	-2.4%	-3.4%	-4.3%	-3.4%	-3.0%	-2.9%	-2.9%
სტრუქტურული ერთიანი ბიუჯეტის პირველადი დეფიციტი	1.5%	-0.7%	-1.4%	-1.9%	-2.5%	-1.6%	-1.2%	-1.2%	-1.2%
ფისკალური იმპულსი	**1.3%**	**0.4%**	**-2.1%**	**-0.1%**	**0.6%**	**-0.7%**	**-0.3%**	**0.0%**	**0.0%**

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2024 წელს მშპ-ს დადებითი „გეპი“ გაიზარდება, იგი 2025 წელს შემცირდება თუმცა კვლავ დადებითი იქნება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში იგი მნიშვნელოვნად მცირდება და განულდება.

გაანგარიშებები მომზადებულია სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის ოპერაციებზე, რომლის დეფიციტიც არ უნდა იყოს 3 პროცენტზე მეტი, ფისკალური წესების მიხედვით.

აღნიშნული ცხრილის მიხედვით, ფისკალური პოლიტიკა ძირითადად ანტიციკლური ან ნეიტრალურია. კერძოდ, კოვიდის განმავლობაში და პოსტკოვიდური პერიოდის სწრაფად ცვალებადი ეკონომიკური აქტივობის შემდეგ, არსებული საშუალოვადიანი პროგნოზების მიხედვით, 2026-2028 წლებში, ფისკალური იმპულსი და მშპ-ს „გეპის“ მნიშვნელობები იმდენად მცირეა, რომ შეიძლება ითქვას, რომ ფისკალური პოლიტიკა ნეიტრალური იქნება და არ გამოიწვეს მშპ-ს „გეპის“ ზრდას ან კლებას.